წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კ. კ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და სამ. ადგილ. ორგანო

ტელეფონები რედ.: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, სამდივნოსი 16—58, მთ. კონტორის—8—91.

ოთხშაბათი, 28 ივნისი 1933 წ. № 147 (3703)

სალეწმა პუნქტებმა დღე-ღამის განმავლობაში უნდა იმუშაონ 21 საათი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი—მასებში

წინააღმდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოების საგადასახადო კანონებისა, საბჭოთა ხელისუფლების მთელი საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია მშრომელი მოსახლეობის მატერიალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების უოველმხრივ გაუმჯობესებისაკენ. ჩვენში არ მოიძებნება ისეთი მუშა, კოლმეურნე ... ერთპიროვნული მშრომელი გლეხი, რომელმაც არ იცოდეს იმ თანხების მიზან ... ნიშნულება, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო კანონების საფუძველზე გროვდება. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მშვენივრად იციან, რომ მთელი საგადასახადო შემოსავალი ხმარდება უდიდესი ფაბრიკა - ქარხნების, ელექტროსადგურების, სამთანქანო - სატრაქტორო სადგურების, სკოლების, საავადმყოფოების, გზების, ხიდების, და სხვ. მშენებლობას. ამით უნდა აიხსნას უდიდესი პოპულარობა სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაც. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ თვით მშრომელები იღებდენ და იღებენ საგადასახადო კანონით გათვალისწინებულ თანხების დანიშნულ ვადაზე აკრეფის და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ინიციატივას.

დღეს ჩვენ მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 17 ივნისის დადგენილებაზე სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომელიც „კომუნისტი“-ს 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა. ამ კანონს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. იგი მიზნად ისახავს სოციალისტური მიწამდომელობის შემდგომ გამაგრებას, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ, სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას, მოსავლიანობის აწევას, ტეხნიკურ კულტურათა და მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარებას.

ყოველივე ამასთან ერთად განსაკუთრებით ყურადსაღებია სას. სამეურნეო გადასახადის კანონის კლასობრივი ხასიათი. ეს **კანონი უდიდეს შეღავათებს ანიჭებს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეებს.** ახალი კანონის თანახმად **25 პროცენტით შეუმცირდება გადასახადი იმ კოლმეურნეობას, რომელიც „განახორციელებს მოსავლიანობის გადიდების გეგმას და საუკეთესოდ დააყენებს აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეს“.** ახალი კანონი უდიდეს შეღავათებს ანიჭებს კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს **ტეხნიკური კულტურების** და **მეცხოველეობის** განვითარების დარგში. სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან შაქრის ჭარხლის, კანაფის, რამის, და ლუფას ნაკეთები, ჩაის პლანტაცია, კაუჩუკოვანი მცენარეები, არახისი და ციტრუსოვანი ნარგავები. გარდა ამისა სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან კოლმეურნეობათა ოთხფეხი საქონელი, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და თუთის ხის შემოსავალი. საგადასახადო კომისიებს უფლება ეძლევათ მთლიანად გაანთავისუფლონ გადასახადისაგან ან შეუმცირონ გადასახადები ღარიბებს.

ეს და სხვა მრავალი შეღავათები, რომელსაც ანიჭებს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეებს, საშუალებას აძლევს მათ განავითარონ ძვირფასი ტეხნიკური კულტურები მოამრავლონ პირუტყვი, ასწორონ მოსავლიანობა. ეს კანონი ქმნის დიდ ნოებს.

მეორეს მხრივ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი მწვავედ ურტყამს კულაკს, სპეკულანტს და ყველა მუქთახორას. ამ კანონის თანახმად როგორც წინად, ისე წელსაც კულაკური მეურნეობები აიბეგრებიან არა ნორმების, არამედ მათი ნამდვილი შემოსავლების მიხედვით ინდივიდუალური წესით. ინდივიდუალურად დაიბეგრება ის მეურნეობაც, რომელიც სისტემატიურად ეწევა სპეკულიაციას.

სასოფლო ამეურნეო გადასახადის კანონში არის პუნქტი, რომელიც მიმართულია ზარმაცებისა და სახელმწიფო დავალების ბოროტი არ შემსრულებლების წინააღმდეგ. ამ პუნქტში ნათქვამია: „მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება (და მაშასადამე ინდივიდუალური წესით დაიბეგრება — რედ.) უკეთუ იგი ბოროტი განზრახვით არ ასრულებს თესვის მიცემულ გეგმას და კანონით დაწესებულ სხვა სახელმწიფო ვალდებულებას და ამავე დროს იგი გარკვეული არ ეკუთვნის ღარიბ მეურნეობის ჯგუფს“.

საჭიროა გაძლიერდეს ფართო მასიური - პოლიტიკური მუშაობა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის მნიშვნელობის გასარკვევად. არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნე და მშრომელი ერთპიროვნული მეურნე, რომლისთვისაც გარკვეული არ იქნება ამ კანონის პოლიტიკური აზრი, მისი ნორმები, გადასახადის გამოანგარიშების და გაწერის წესები, აკრეფის ვადები და ის შედეგი, რასაც გამოიწვევენ ამ კანონისათვის გვერდის ავლა, ან გადასახადის ვადაზე შეუტანლობა.

მთელი ამ საგადასახადო კამპანიის წარმატებით ჩატარების ძირითად პირობას წარმოადგენს **დასაბეგრ ობიექტების სწორად აღრიცხვა.** ამიტომ ამ საქმეს უნდა მიექცეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების **განსაკუთრებული** ყურადღება.

სას. სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის განუხრელად გატარება ბევრად არის დამოკიდებული **საგადასახადო კომისიების ნაყოფიერი** მუშაობისაგან, პარტიულ ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ კომისიებისათვის კლასობრივად მტკიცე წევრების შერჩევას მშრომელთაგან. საჭიროა პოლიტიკური სიფხიზლე, რომ აღნიშნულ კომისიებში არ გაძერეს კულაკი, მისი დამქაში, მემარჯვენე ოპორტუნისტი, „მემარცხენე“ გადამხვევი და ისეთი პირი, რომელსაც არა აქვს სურვილი ან უნარი მკაფიოდ, მტკიცედ გაატაროს პარტიის და ხელისუფლების კლასობრივი ხაზი.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კამპანია უნდა გაიშალოს იმ ანგარიშით, რომ პირველი შენატანის დაფარვა დაიწყოს მომდინარე წლის პირველი სექტემბრიდან და შემდეგ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა შენატანის განაღდება დაწესებულ ვადებში.

მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ, რომ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის განუხრელად გატარება ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ამ საქმეს კონკრეტულ და ოპერატიული ხელმძღვანელობას გაუწევენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები რაიონული აღმასკომები, სოფლის საბჭოები, ფინსახკომის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.

საჩივართა ბიუროების მუშაობა უაღრესად სტრატეგიული პოლიტიკური მუშაობაა

ამხ. კალინინის გამოსვლა მუშაგლეხინის საჩივართა ბიუროების გამგეთა საკავშირო თათბირზე

26 ივნისს მუშაგლეხინის საჩივართა ბიუროების გამგეთა საკავშირო თათბირის დილის სხდომაზე მოხსენებით მუშაგლეხის საჩივართა ბიუროების მუშაობის და მეთოდების შესახებ გამოვიდა **ამხ. მ. ი. ულიანოვა.** ამხ. ულიანოვამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საჩივართა ბიუროების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის მნიშვნელობას. არის შემთხვევები, როცა საჩივრები ინახება უმთავრად მეტი თვეობით და წლობითაც კი. საჩივართა ზოგიერთი ბიუროში ასობით ინახება გაურჩეველი საჩივრები. ხშირად საჩივარი ეგზავნება მას, ვისაც უჩივიან. ცხადია, რომ ასეთი საჩივარი გამოიღებს საწინააღმდეგო შედეგს. საჩივრებით, საჩივართა ბიუროებთან დაკავშირებით, საჩივართა ბიუროში უნდა გაძლიერდეს რევოლიუციური სიფხიზლე და გაიშალოს დაუნდობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოხატულებათა წინააღმდეგ.

დასასრულ ამხ. ულიანოვამ აღნიშნა საჩივრების ბიუროების დიდი მნიშვნელობა და მიუთითა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ისინი მუშაობენ არადამაკმაყოფილებლად. მათაც უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე ეს დღემდე იყო (ადა).

კურის ჩაბარება—კალოდანვე

ყვარელის რაიონში, იმავე როგორც მთელს საქართველოში წელს არაჩვეულებრივად კარგი მოსავალია. პურეულის ნათესები, უკვე საგრძნობლად მომწიფდა და ოქროს ზღვასავით ღელავენ. მარცვლით სავსე თავთავები სიმძიმის გამო გვერდზე გადახრილან და ელოდებიან მომჭირეე ხელს, რომელიც მათ საიმედოთ დააბინავებს.

კოლმეურნეობები, სოფლები გაცხოველებით ემზადებიან მოსავლის აღებისათვის, წმენდენ კალოებს, ამზადებენ ფერმებს, ფურგონებს, სიხჯავენ სამკელ მანქანებს, ცელებს, ნამგლებს.

მოსავლის აღება ზუსტი გეგმების მიხედვით უნდა ჩატარდეს. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანიზაციები ერთხელ კიდევ ეცნობიან ნათესების მდგომარეობას. აგრონომები და კამოცდილი კოლმეურნეები აწესებენ თვითეულ ნაკვეთის მომკის ზუსტ კალენდარულ ვადებს, რათა მოსავალი ისე აკრიფონ, რომ არც ერთი მარცვალი ხორბალი არ დაკარგოს. პირველ რიგში უნდა მომკან შემოზიდული ჯიშის პურეული —„უკრაინკა“ და „კოოპერატორკა“.

ადგენენ აგრეთვე მოსავლის გაღვრვის და სახელმწიფოსათვის მოსავლის სავალდებულო ჩაბარების გეგმებს ისე ანაწილებენ მუშა - საქონელს, სატრანსპორტო საშვალებებს, ინვენტარს, რომ სამუშაოებმა ერთი - მეორეს არ შეუშალონ ხელი.

ყვარელის რაიონის პარტკაბინეტის კრებაზე 25 ივნისს გამოირკვა, რომ ადრე ნათესი ქერის და პურის გაჭრა უკვე დაიწყო. მომკილია 105 ჰექტარი ქერი და 12 ჰექტარი პური. მომკილი ქერის ნაწილი გალეწილია კიდეც. ახალ სოფლის ერთპიროვნულ გლეხებს განზრახული აქვთ პირველად გალეწილი მარცვლეული შეინახონ ხოლო სახელმწიფოს მარცვლეული ჩააბარონ გალეწვის დამთავრების შემდეგ. ახალ სოფლის გავაზის, ზინობიანის კოლმეურნეობებს განსაკუთრებით ერთპიროვნულ მეურნეობებს განზრახული აქვთ მოსავლის გალეწვა სექტემბრის დამდეგამდე გაჰიანურონ.

პარტკაბინეტის კრებამ დაგმო ეს ოპორტუნისტული მიდრეკილება და დაადგინა: დაჩქარდეს მოსავლის აღება მოსავლის აღებისათვის სწორი ხელმძღვანელობის მიზნით, თვითეულ კოლმეურნეობას და სოფლის საბჭოს დაევალა სისტემატიურად მიაწოდოს რაიონს ცნობები მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ, **პურეულის გალეწვის საბოლოო ვადათ დანიშნულ იქნა 10 აგვისტო. მარცვლეულის ჩაბარება უნდა სწარმოებდეს კალოდანვე და დამთავრდეს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.**

მოსავლის აღების და მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმების უკეთ შესრულებისათვის და დანიშნულ ვადების მტკიცედ დაცვის მიზნით **რაიონის კოლმეურნეობებსა და სოფსაბჭოებმა გამოიწვიეს ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში.** არბიტრობა დაევალა ყვარელის რაიონის პარტაბინეტის რაიმოწვდომქედების განყოფილებას და სარაიონო გაზეთს. „ლენინის გზით“-ს

რაიონის პარტაბინეტმა მოსავლის აღების და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის უკეთ შესრულებაზე სოცშეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის რაიონი არბიტრობა ეთხოვა მიწამდომქედების კომისარიატსა და გაზ. **„კომუნისტი“-ს** რედაქციას.

ნ. ტუემალაძე.

კონკურსი კომბაინების საუკეთესოდ გამოყენებისათვის

აბარა, 26 ივნისი. აგარის შაქრის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები ჩაებენ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც მიზნად ისახავს კომბაინების საუკეთესოდ გამოყენებას 1933 წლის მოსავლის აღების კამპანიაში. მეურნეობას აქვს 4 კომბაინი, მათი **რემონტი უკვე დამთავრებულია.** ამ კომბაინებიდან სამი საქართა ... ნარმისაა — „კომუნარი“, ერთი — ამერიკული — „ვატერპილერი“.

გეგმით მოსავლის აღება კომბაინებით საბჭოთა მეურნეობამ უნდა ჩაატაროს 252 ჰექტარზე. კომბაინები დღეში იმუშავებენ 12 საათს. „კომუნარი“-ს სისტემის კომბაინი აღებს მოსავალს სამუშაო დღეში 15. ჰექტაროდან, „კატერპილერის“ სისტემის კომბაინი — 20 ჰექტარიდან. **თავთავიან კულტურების აღება გათვალისწინებულია 6 დღეში.**

საბჭოთა მეურნეობასთან ჩამოყალიბებულია კომბაინერთა მოსამზადებელი კურსები „კატერპილერი“-ს კომბაინერი ამხ. **გონჩაძე** (მექანიკოსი) საუკეთესო დამკვრელია, მას მიღებული აქვს ჯილდო კომბაინის რემონტის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

თავთავიანი კულტურების აღებას საბჭოთა მეურნეობა შეუდგება 10 ივლისს და დამთავრებს 16 ივლისს.

საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გააძლიერონ ჩაის პლანტაციების გათოხნა

ჩაის პლანტაციების თოხნა **საბჭოთა მეურნეობებში** არადამაკმაყოფილებლად მიმდინაროებს. „საქ. ჩაი“-ს ცნობით, 25 ივნისისათვის პირველი თოხნა საბჭოთა მეურნეობებში ჩატარებული იყო 7.310 ჰექტარზე (გეგმით—35,4 პროცენტი). ეს სამუშაო 1 ივნისისათვის უნდა დამთავრებულიყო. პირველი თოხნაში განსაკუთრებით ჩამორჩენენ **ნახაკარალის, დიდი-ჭყონის, ნარაზენის, წალენჯიხის, ახრგვარის და კობერის საბჭოთა მეურნეობები.**

25 ივნისისათვის მეორე თოხნა ჩატარებული იყო სულ 1306,5 ჰექტარზე, გეგმის 15,2 პროც.

ცალკე საბჭოთა მეურნეობების მიხედვით თოხნის მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა:

სალიაბურის საბჭოთა მეურნეობას გათოხნილი ჰქონდა 136 ჰექტ. (გეგმის—80 პრ.), **გონიოსას**—10 ჰექტ. (20 პროც.), **ჩაქვისას**—88 ჰექტ. (16,5 პროც.); **ჭობულეთისას**—222 ჰექტ. (25,1 პროც.), **ლაითურისას**—330 ჰექტ. (32,4 პროც.); **ნასაკირალისას**—26 ჰექტ. (3,8 პროც.), **ხონისას**—250,1 ჰექტ. (54,4 პროც.), **წალენჯიხისას**—101 ჰექტ. (54,4 პროც.); **ლესელიძისას**—52 ჰექტ. (40 პროც.); **ახრგვარისას**—91,4 ჰექტ. (გეგმის—9,5 პროც.).

ამავე რიცხვისათვის **მეორე თოხნა არ ჰქონდათ დაწყებული ნატანების, დიდი-ჭყონის, ნარაზენის, ჯოლოგნისა და კობერის საბჭოთა მეურნეობებს.**

ჩაის პლანტაციების დროზე განთავისუფლები სარეველა ბალახებისაგან საბჭოთა მეურნეობების პარტიული, სამეურნეო, კოოპერაციული და პროფორგანიზაციების ვალდებულებაა. ამ საქმეში ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა ბოლშევიკური დარაზმულობისა და ოპერატიულობის მაგალითები უნდა ვნახოთ.

ა—ვი.

ვინ არის პასუხისმგებელი სალეწი პუნქტების ჭარბად გამზადებისთვის მუშაოგისათვის

(სილნაღის რაიონი)

საკ. სახკომსაბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცკ-მ ჯერ კიდევ 24 მაისის დადგენილებით — **„საანეულო ხვნისა და მარცვლეულის მოსავლის აღების ორგანიზაციის შესახებ“** გაფრთხილა სამ.-სატ. სადგურების ხელმძღვანელები ისე მოემზადებინათ სალეწი პუნქტები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო **მოსავლის გალეწვის რაც შეიძლება მოკლევადიან დამთავრება.**

სილნაღის რაიონში მარცვლეული **კულტურების** აღება უკვე დაიწყო. სალეწი - პუნქტები კი მოემზადებელი შეხვდენ მარცვლეულის ლეწვას, რაც სამ.-სატ. სადგურის ხელმძღვანელების მოუქნელ მუშაობას უნდა მიეწეროს.

სოფ. ჯუგაანში სალეწმა 10 ივნისიდან დაიწყო მუშაობა: იმის გამო, რომ მანქანა არ იქნა წინასწარ შემოწმებული, იგი ხშირად ზიანდება და სცდება. ჯუგაანის სალეწ პუნქტში მუდმივათ მუშაობს მხოლოდ 5 მომუშავე; მემანქანე, მწონავი (იგივე ბრიგადირი ორი ძნების გამშლელი და ერთი ტრაქტორისტი. პუნქტი დღემდე არაა უზრუნველყოფილი საჭირო ხელსაწყობებით, მას აკლია გირები, საწვავი და საცხები მასალა. ტომრების უქონლობის გამო **22 ივნისამდე მინდის სახით აღებული 90 ფუთი პური ცის ქვეშ ეყარა.** პუნქტის მომუშავეები პარტიის კანდიდატი **სიფრაშვილი და შ. ყარალაშვილი** (უპარტიო) ხშირად აცდენენ სამუშაო დღეებს. (მაგ. არ მუშაობდენ 21 ივნისს) და ისედაც მოუწყობელ პუნქტში, თავიანთი გამოუცხადებლობით აფერხებენ ნორმალურ მუშაობას.

უფრო უარესი მდგომარეობაა **ყარაჭის სალეწ პუნქტში,** სადაც ქერის ლეწვა 8 ივნისიდან მიმდინარეობს.

აღნიშნულ პუნქტში სდგას 4 სალეწი მანქანა; ამათგან ერთი მანქანა გაჩერებულია რემონტის დაბალი ხარისხის გამო, ხოლო დანარჩენი სალეწები იმიტომ, რომ არა აქვთ საწვავი მასალის არა საკმაო რაოდენობა, დატაცებისაგან და ხანძრის საშიშროებისაგან მოსავლის დაცვაზე ნაკლებია ზრუნვა, — აი რით ხასიათდება სალეწ - პუნქტების მუშაობა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სამ. სატრ. სადგურის და თვით საწარმოო უბნების მესვეურები სალეწ პუნქტებს ბიუროკრატიულად - კანცელარიებიდან „ხელმძღვანელობენ“: ტიბაანის საწ. უბნის გამგე **პეპანოვმა** ოც კი იცის თუ რა მდგომარეობაა ყარაჭის სალეწ პუნქტში, რომლის მუშაობაზედაც ის პასუხისმგებელია.

სამ.-სატრ. სადგური მოსავლის გალეწვას კვლავ ძველი წესით აწარმოებს, წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის სუსტათ გაშლის გამო მოსავლის გალეწვის საქმეში გასული წლის შეცდომები კვლავ მეორდება.

მოსავლის აღების ტემპები, ივნისის მეხუთე ხუთდღიურში კიდევ უფრო გაძლიერდა სალეწ - პუნქტების ამგვარ მდგომარეობაში დატოვება კი ვერ უზრუნველყოფს მოსავლის გალეწვის დამთავრებას დაწესებულ ვადებში.

რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწამდომქედო ორგანოებმა, სამ.-სატ. სადგურის დირექციამ და პოლიტ - განყოფილებამ სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ აღნიშნული დეფექტები და მით უზრუნველყონ რომ მოსავლის აღების ისე მარცვლეულის სახელმწიფოსთვის ჩაბარების დავალებათა წარმატებით შესრულება.

დ. მჭედლიშვილი

ჩაის მწვანე ფოთლის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს

„საქ. ჩაი“-ს ცნობით, ივნისში საქართველოში ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა აიკრიფოს 450.000 კილოგრამის ოდენობით. 20 ივნისისათვის **აკრეფილი იყო 445.535 კილოგრამი, რესპუბლიკანური გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით.**

ცალკე **საფაბრიკო** რაიონების მიხედვით ჩაის კრეფა ასეთ სურათს გვაძლევს:

საბარიკედი	აკრეფილია ჰექტარებში	გეგმის შესრულება %%-ში
სალიაბურის	35.027	101,5
ჩაქვის	86.401	124,1
ბობოყვათის	45.989	109,5
ხუცუბანის	20.073	57,6
ოზურგეთის	87.137	111,6
ნატანების	11.628	57,6
შრომის	24.151	73,2
მაღლა-ეწერის	17.265	82,2
აცანის	36.601	97,6
ნიგვზიანი	16.822	93,5
ჩოხატაურის	8.858	84,4
ზუგდიდის	17.735	60,7
უშაფათის, ფოცხოის და დიდი-ჭყონის	16.211	79,9
ვალის	21.637	110,6

როგორც ეხედავთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა საერთოდ წარმატებით მიმდინარეობს: ჩაის კრეფაში ჩამორჩენილმა რაიონებმა მაგალითი უნდა აიღონ წინ წასულებისაგან და ყველა საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებით უზრუნველყონ კრეფის გეგმების ვადაზე შესრულება; მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ, რომ მწვანე ფოთლის კრეფის **დაწესებულ ვადაზე დამთავრება ჩაის მაღალი ხარისხის აუცილებელი პირობაა.**

კ—ო.

სტალინისის რაიონი, ჭარხლის თოხნა „ცხრა მუხა“-ში

მსოფლიო ეკონომიური კონფერენცია ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევს

„ჟურნალ“-ი განიარაღების კონფერენციის შესახებ.

პარიზი, 26 ივნისი. „ჟურნალ“-ი ათავსებს მოწინავე წერილს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, სადაც წინადადებას იძლევა გადაიდოს განიარაღების კონფერენცია გაზეთი სწერს, რომ **უთანხმოება ყველა ხელმწიფოებს შორის ყველა საკითხებზე იმდენად დიდია, რომ კონფერენცია ამჟამად ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევს (ადა).**

ფაშისტური საჰაერო აფიორა მარცხით დამთავრდა

(„პრავდას“ საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 26 ივნისი. „ნიუს კრონიკლი“, რომელიც მოწინავე წერილს უძღვნის „საჰაერო თავდასხმას“ კაპიტან ჰერინგის ბერლინზე, სწერს:

„ჰიტლერის გერმანიის აჩრდილი, გერმანიის, რომელიც აძლიერებს საჰაერო შეიარაღებას, საკმაოდ ბნელი და შემაძრწუნებელია — იმდენადვე სერიოზული, რამდენადაც კომიკურია უხეიროდ შეთითხნილი საბაბი. მაგრამ ვინ არის პასუხისმგებელი ამ ახალი საფრთხისათვის? ვინ მოითხოვა პირველად „საბოლიცო აეროპლანები“? ბრიტანეთის მთავრობას რომ არ მოეთხოვა დაეწინებით „საბოლიცო აეროპლანები“ ინდოეთის მთელი ტომებისათვის ყუმბარების დასაშენად, — ან შემთხვევაში გერმანიის მოთხოვნა მაშინვე იქნებოდა უარყოფილი, როგორც შეუწყნარებელი მოთხოვნა“ (ადა).

საალყო ფესვები გულგარეთის დედა ქალაქში

(„იზვესტიას“ საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 26 ივნისი. იმის გამო, რომ არ სწარმოებს პირდაპირი მიმოსვლა ბულგარეთთან, „პტი-პარიზიენი“ ათავსებს ბელგრადიდან 25 ივნისის თარიღით მიღებულ შემდეგი შინაარსის დეპეშას:

„სოფიაში (ბულგარეთის დედაქალაქი) დილის 3 ს. გამოცხადდა საალყო წესები. ჯარი და პოლიცია იცავენ ყველა ქუჩებს, **მოსახლეობას აკრძალული აქვს ქუჩაში გამოსვლა. ყველა სახლში სწარმოებს ჩხრეკა.** შეიარაღებული სამხედრო ნაწილები ახატიმრებენ ყველა საეჭვო პირს. საალყო წესები შემოღებულია 30 ივნისამდე. ქუჩები სრულიად დაცალიერდა. ქუჩებში დაიწყო მხოლოდ ჟანდარმები. უცხოელი კორესპონდენტები მოკლებული არიან შეუალებას გადასცენ ცნობები, ვინაიდან სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი შეწყვეტილია ყველა ქვეყნებთან. **მთელი ძალა-უფლება არმიის ხელშია.** მხოლოდ სამხედრო სამინისტრო იძლევა განკარგულებებს. ბულგარეთის ამბები ახდენენ ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც ახდენდა 1923 წლის 23 ივნისის ამბები, როცა მოკლულ იქნა სტამბოლინსკი.

საფრანგეთის პრესა ამ ამბებს ხსნის მაკედონის ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედების გაძლიერებით (ადა).

მოიერიშენი არ ემორჩილებიან

თავის ხელმძღვანელებს

ვენა, 26 ივნისი („პრავდას“ საკ. კორ.). როგორც ვენის „როტე ფანე“ იუწყება, გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში გრძელდება მღელვარება მოიერიშეთა შორის. ჰესენში მხოლოდ მრავალი პირის დაპატიმრების მეოხებით გარდა შესაძლებელი მოიერიშეთა ჯგუფის თავიდან აცილება. დაპატიმრებული არიან სწორედ ის მოიერიშენი, რომლებსაც ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინად ქება-დიდებას ასხამდა რეიხის ნაციონალ-სოციალისტური პრესა და უწოდებდა მათ „ნაციონალური რევოლუციის“ გმირებს.

რაზმის უფროსმა მოითხოვა, რომ მოიერიშენი გამოსულიყვნენ მუშების წინააღმდეგ და დაეპატიმრებიათ ზოგი მათგანი. მოიერიშეებმა განაცხადეს, რომ „ამიერიდან ისინი უარს ამბობენ მუშებისა და აგრეთვე იმათ წინააღმდეგ გამოსვლაზე, ვინც თავგანწირვით იცავს მუშათა კლასის ინტერესებს. „ერთადერთი ღონისძიება, რის ჩატარებაზედაც ჩვენ თანახმა ვართ,—განაცხადეს მოიერიშეებმა, — ეს არის მრეწველების დაპატიმრება“.

დარმშტადტში ძლიერდება მღელვარება მოიერიშეთა შორის იმ ჯანხთან დაკავშირებით, რომელსაც ადგია ჭრილობა მაინის ფრანკფურტში. როცა დარმშტადტში გაგზავნეს, რომ ნაციონალ - სოციალისტთა ხელმძღვანელობამ მოიერიშე რაზმებიდან ფრანკფურტში გამორიცხა 2800 კაცი, იქ გაიმართა სასწრაფო კრება, კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ფრანკფურტელ ამხანაგებს.

კენიგსბერგში მოიერიშეებსა და ნაციონალ-სოციალისტების ოფიცერთა რაზმს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება მას შემდეგ, რაც ერთერთმა მოიერიშემ გაბედა, რომ ხელმძღვანელობა უფრო და უფრო ავიწროებს მოიერიშეებს. ჩვენ, — განაცხადა ამ მოიერიშემ, — ალბად საჭირო ვიყავით მხოლოდ ხელისუფლების დასაპყრობად. მესამე იმპერიისათვის ჩვენ არა ვართ საკმაოდ კეთილშობილი და ამიტომ გვაცილიან ოფიცრებით“.

ცნობები, რომ გერმანიის სხვადასხვა მსხვილ ცენტრებში გრძელდება მოიერიშეთა გამოსვლები, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ეს მოწმობს, რომ ფაშისტური რეჟიმის დასაყრდენი — მოიერიშენი — არასიმედო ხდება და რომ ნაციონალ - სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელობა იძულებულია მიმართოს ტერორის, რათა ჩაახშოს უკმაყოფილება მოიერიშე რაზმებს შორის (ადა).

„ერ ნუველ“-ი საბჭოთა პავშირთან თანამშრომლობის შესახებ

პარიზი, 27 ივნისი. „ერ ნუველ“-ი აღნიშნავს რა, რომ შარლ ალფანის—საფრანგეთის ახალი ელჩის საბჭოთა კავშირში — მუშაობა მიმდინარეობს მეგობრული ნდობის ატმოსფეროში, სწერს პირველ გვერდზე:

„არავინ არ არის უფრო შესაფერი, ვიდრე ერიოს ყოფილი თანამშრომელი ალფანი, იმისთვის, რომ მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს დაახლოების და თანამშრომლობის საუკეთესო პოლიტიკას, რომელიც განაახლა მისმა გამჩენელმა მეგობარმა. საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის მეგობარმა, რომლის განვითარება ჩვენ გვეყურს, წარმოადგენს ფუნქციას მშვიდობიანობისათვის, რომელსაც იგი, ალბათ, დიდ სარგებლობას მოუტანს. სწორედ ამ თვალსაზრისით ჩვენ ვისურვებდით რომ ბოლშევიკების გამოჩენილი ელჩი ალფანი, რომელიც დღეს იწყებს ლენინგრადსა და ჯერ საიმონს შორის, ახლო მომავალში შედეგად მოჰყვეს ეკონომიური ზავი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, რათა ორივე ქვეყანას შორის განსახლდეს საეჭო ურთიერთობა.

თუ უნდათ დავასკვნან სერიოზული თანამედროვე წინააღმდეგობანი, საჭიროა აღმოსავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოს მიეცეს საშუალება ყოველმხრივ ითანამშრომლოს საერთო საქმეში“.

უაკ სადული.

იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა არც ისე გრძუნვალეა

ტოკიო, 26 ივნისი. იაპონიის საზღვაო სამინისტროს გამოაქვეყნა წუნარ ოკეანეს პრობლემის გამოჩენილი ცოდნის იაპონიის საზღვაო ოფიცრის **სეკინეს** ბროშურა, რომელშიაც ავტორი აცხადებს, რომ **იაპონიას არა აქვს არავითარი საფუძველი თავისი საერთაშორისო მდგომარეობის ოპტიმისტურად შეფასებისათვის.** იგი გარემოება — სწერს სეკინე, — რომ სახელმწიფოები ჯერ ჯერობით არ ჩაერიენ მანჯურიის პრობლემაში იაპონიის ერთა ლიგიდან გასვლის შემდეგ, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მანჯურიის პრობლემა გადაჭრილია და რომ იაპონიას არავითარი საფრთხე აღარ მოელის. **სახელმწიფოების დუმილი უმთავრესად აიხსნება პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით ევროპაში, აგრეთვე ფინანსიური კრიზისით ამერიკაში.** პირიქით, იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის პერსპექტივები შეიძლება მეტად **მძიმე აღმოჩნდეს** იაპონიის საკრედიტო ბოიკოტის გამო, რომელსაც ადგილი აქვს რამდენიმე ქვეყანაში, აგრეთვე იაპონიის მიერ ერთა ლიგასთან კავშირის გაწყვეტისა და ლონდონის და ვაშინგტონის ხელშეკრულებათა მომავალი გადათვალიერების გამო, რაც ერთად მოქმედების გაძლიერებით (ადა).

მოხდეს 1936 წელს. ლიბერალები ინგლისში, აღნიშნავს სეკინე, მანჯურიის ამბების დაწყებიდანვე ეწევიან ანტიიაპონურ აგიტაციას და თვით კონსერვატორებიც კი ამკარად მხარს უჭერენ იაპონიის საქონლის ბოიკოტს.

ეხება რა იაპონია - ამერიკის დამოკიდებულებას, სეკინე აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ერცელდება ცნობები „იაპონია-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ ნამდვილად კი **ამერიკა აშენებს 32 ახალ გემს, რაც აშკარად იაპონის წინააღმდეგ არის მიმართული“.** უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში — განაგრძობს სეკინე, — შეირთებული შტატების მთავრობა და მოსახლეობა იაპონიას სისტემატიურად ემუქრებოდენ უშუალოდ ან არაპირდაპირ. ყოველ შემთხვევაში, დასძენს სეკინე, ამერიკის ტრადიციული პოლიტიკა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ამერიკული საქონლისათვის ბაზრებს დაეძებდენ შორეულ აღმოსავლეთში, უცვლელი დარჩა და შეირთებული შტატების ატლანტიის ოკეანეს ფლოტი იმყოფება წყნარ ოკეანეში სწორედ ამ პოლიტიკასთან დაკავშირებ

ერთიანი პარტიული დღისათვის

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ძირეული პარტიული რგოლების მუშაობა

უფრო ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი

ტფილისის სადგურის მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ერთიანი პარტიული დღის მოწესრიგებულად ჩატარებისათვის ფართო მასობრივი მუშაობა გააჩაღა. 3 ივნისს მოწვეული იქნა პარტკომიტეტის გაფართოებული სხდომა უჯრედის მდივნებთან ერთად; სხდომაზე დამუშავდა მორიგი ერთიანი პარ

ტფილისის მაუდის ფაბრიკის საფეიქრო სამკერის კომკავშირის უჯრედის მდივანი. ამხ. მოწ. ნ. ელიძე.

ტიული დღის ორგანიზაციულად ჩატარების საკითხი; 3 და 4 ივნისს ცალკე უჯრედებსა და ძირეულ პარტიულ რგოლებში მიმდინარეობდა ამხანა – განმარტებით მუშაობა მორიგი პარტდღის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ.

საწარმოებში პარტიული უჯრედების მუშაობის შესახებ „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილების რეალიზაციის შესამოწმებლად გამოიყო 32 თითოშემოწმებული ბრიგადა 205 კაცის შემადგენლობით. პარტდღის ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობის გაწლასთან დაკავშირებით გაძლიერდა ბრძოლა საწარმოო – საფინანსო გეგმების წარმატებით შესრულებისა და კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. სოც შეჯიბრებასა და დამკვირლებაში ჩაება პარტიის წევრებისა და კანდიდატების მთელი შემადგენლობა, სადგურის მეურნეობის მუშა–მოსამსახურეების 95 პროც.

სადგურის მეურნეობის პარტიული კომიტეტი აერთიანებს ოთხ უჯრედს, პარტიის 397 წევრს, და კანდიდატს.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ საბრძოლო პროგრამად გაიხადა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილების რეალიზაცია; ამ დად გენილების საფუძველზე სადგურის მეურნეობაში დაარსდა ძირეული პარტიული რგოლები. 30 პარტ ჯგუფი და 2 რგოლ–უჯრედი.

მუშაობის დადგმით გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარების მიზნით, იმართება ძირეული პარტიული რგოლების თათბირები; გაძლერდა პარტიის წევრთა და კანდიდატების ბრძოლა საწარმოო – საფინანსო გეგმების შესრულებისათვის, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი; სადგურის მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში არიან ისეთი კომუნისტები. რომლებიც ნამდვილად ამართლებენ ავანგარდულ როლს, სისტემატიურად გადაჭრებით ასრულებენ მიცემულ დავალებებს და რაზმავენ უპარტიო მუშებს პარტიის ლოზუნგების გარშემო; სამხრეთ პარკში პირველ კვარტალში კომუნისტ ამხ. **გიკაშვილის** ხელმძღვანელობით, მიმდინარე წელს პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 150 პროც., მოწიავე რიგებში არიან აგრეთვე თავმჯდომარის, კომბიძის, გურგენიშვილის და სხვ., ბრიგადები. მოწინავე კომუნისტებთან ერთად არიან ჩამორჩენილები, რომლებიც ლაქას სცხებენ ლენინური პარტიის რიგებს.

ს. ჯოხეიშვილი, გაბრამაშვილი, მ. კიკნაძე, გ. ბრეგვაძე, გ. მშველიძე, ვ. თეთრაძე, ნ. კიკნაველიძე — კი ეს ისეთი კომუნისტები არიან, რომლებიც ვერ ამართლებენ ავანგარდულ როლს, არღვევენ შრომის დისციპლინას არ იხდიან პარტიის საწევრო გადასახადს. მაგ. ფილიევს და გობიჩევსაც 1932 წლის ივნისიდან პარტსაწევრო არ აქვთ გადახდილი. ასეთი „კომუნისტების“ წარაღმდეგ ჯერ კიდევ არაა მიღებული გადამჭრელი ზომები.

დ. თ — ძე

დეპოს პარტორგანიზაცია მზად არის

ტფილისის დეპოს პარტკომმა დაბარა პარტდღის ჩატარების კონკრეტული გეგმა, რომლის საფუძველზედაც საამქრო უჯრედებმა შეადგინეს თავისი ოპერატიული გეგმები.

პარტკომმა ჩაატარა პარტჯგუფების და ხარგოლო უჯრედების საინსტრუქციო თათბირი.

საამქროებში გამოყოფილ იქნა თვითშემოწმებელი ბრიგადები, რომლებიც შეამოწმებენ პარტბეღმძღვანელობის მდგომარეობას წარმოებაში, კომუნისტების ავანგარდული როლის, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მდგომარეობას, მარქსის-ტულ - ლენინურ სწავლების დაყენების საქმეს, კომკავშირზე პარტბეღმძღვანელობის მდგომარეობას და სხვ. თვითშემოწმებელი ბრიგადები აერთიანებენ დაახლოებით 80 კაცს.

ძირეული პარტრგოლების კრებებზე დამუშავდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 7 აგვისტოს დადგენილება საწარმოებში პარტმასიური მუშაობის შესახებ.

დეპოს პარტკომი, სტალინის სახელობის სარემონტო ჭარხნის და „26“ სახელობის ჭარხნის მაგალითის მიხედვით, უფარდებს პარტდღეს ტეხნიკის დაუფლებაზე გადასვლას ამ მიზნით ეწყობა ტეხმინიმუმის 17 წრე, რომლებიც აერთიანებენ ადგილობრივი დეპოს ყველა პროფესიის მუშებს.

25 ივნისს ჩატარდა ტეხნიკური წრეების პირველი მეცადინეობა.

ადგილობრივმა დეპომ იკისრა გამოუშვას პარტდღისათვის გეგმის გარეშე ერთი ორთქლმავალი და ჩაატაროს შაბათობა საერთო რემონტის დასახმარებლად.

გამოვიდა მრავალტირაჟიანი გაზეთი „კრასნი დეპოვეც“-ის სპეციალური ნომერი, რომელიც მიძღვნილია პარტიული დღის მომზადებისათვის.

გოლშევიკური ტემპების პარტჯგუფი

ადგილობრივი დეპოს ხაჩალავა სამჭროს პარტჯგუფი ამხ. **მაკარაშვილის** ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად აწარმოებს ბრძოლას სატრანსპორტო საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჯგუფს ჰქონდა გარდვევა გეგმის შესრულებაში. გეგმით გათვალისწინებულ 24 ორთქლმავლის ნაცვლად, მან გამოუშვა 19 ორთქლმავალი. პარტჯგუფორგმა ამხ. მაკარაშვილმა დარაზმა მთელი ჯგუფი გაშალა პარტმასიური მუშაობა და აამოძრავა ჩამორჩენილები. ამის შედეგად აღწინ ნულმა პარტჯგუფმა აპრილსა და მაისში გამოასწორა ეს მდგომარეობა და ამ ორ თვის განმავლობაში გამოუშვა 20 ორთქლ მავალი.

ამხ. მაკარაშვილის პარტჯგუფი ბოლშევიკურად ებრძვის გეგმის შესრულებისათვის. არა მარტო თავს ჯგუფში, არამედ იგი დახმარებას უწევს ჩამორჩენილ ბრიგადებს საამქროებში აწყობს ცვლათა მუშაობას და უწარუნველყოფს ჩამორჩენილ ბრიგადებს მუშა–ხელით.

პარტჯგუფი დიდ მუშაობას აწარმოებს მუშების პოლიტიკურად აღზრდის და 28 ივნისის პარტდღისათვის მზადების საქმეში საუზის მილების დროს იგი აწყობს საუბრებს და გაზეთების კითხვას, ამუშავებს პარტიის და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს.

პარტდღისათვის ფართოდ გაშლილი მზადების პროცესში მან გაადიდა პარტიის წევრთა და კომკავშირელთა დასწრება კრებებზე.

ამხ. მაკარაშვილის პარტჯგუფი მზადდება მონაწილეობის მისაღებად დეპოს მუშათა მატერიალურ–საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მან გაგზავნა სამი ბრიგადა წყალსაჭიავების მოსაწყობად დეპოს საგარეუბნო მეურნეობაში. ბრიგადირებმა გადასწყვიტეს წყალსაჭიავების მოწყობისაგან შემოსული თანხა შეიტანონ დეპოს მუშათა კვების გასაუმჯობესებელ ფონდში.

ტფ. სტალინის სახ. ფეხსაცმელების ფაბრიკის დამკვრელი მუშა ამხ. პ. ბუჩაკი. პირველ კვარტალში საწარმოო დავალება შესრულია 120 პროცენტით.

სატრანსპორტო – საფინანსო გეგმის შესრულებისა და რემონტის ხარისხის სისტემატიურად გაუმჯობესებისათვის საჭიროა პარტჯგუფი შეტანილი წინადადებით გამოვიდეს საამქროს პარტჯგუფი „პრავდა“-ს წერილი — „ახალი ამოცანების წინაშე“.

პარტჯგუფის ყველა წევრი ჩაბმულია მარქსისტულ - ლენინურ აღზრდისა და დაკვრელობაში. ამხ. კუნდუხაშვილის პარტჯგუფი თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. მან სანიმუშო მონაწილეობა მიიღო ნატახტარის წყალსადენის სასწრაფო დაკვეთის შესრულებაში. ამხ. კუნდუხაშვილი და ბრიგადის სხვა წევრები სისტემატიურად ღებულობენ ჯილდოს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის (ავტ).

ნამდვილი გარდატეხა ჯერ კიდევ არ არის

(ჭიათურა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მარგანეცის მრეწველობამ ივნისში, გეგმის თანახმად, უნდა მოგვცეს 91,538 ტონა ჩვეულებრივი და გასარეცხი მადანი. აქედან პირველ დეკადაში ამოღებულია 26.937 ტონა, თვიური გეგმა შესრულდა 29,4 პროცენტით.

პირველ დეკადაში გეგმით უნდა ემუშავა 2757 მუშას, ოაქტიურად მუშაობდა 2461. შრომის ნაყოფიერება თითო მუშაზე მაღაროში უნდა ყოფილიყო 1,83 ტონა, ნამდვილად კი იყო 1,75 გეგმის 95,6 პროცენტი; ჭარხანაში შრომის ნაყოფიერება უნდა ყოფილიყო 4,09 ტონა, ფაქტიურად იყო 3,72, გეგმა შესრულდა 91 პროცენტით. პირველ დეკადაში მიღებული იქნა 512 ახალი მუშა, სამუშაოდან წავიდა 191.

მდგომარეობა არ გამოსწორებულა არც მეორე დეკადაში. მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 29,4 პროც. მთლიანად თვის დასაწყისიდან ამოღების თვიური გეგმა ორ დეკადაში შესრულებულია 58,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა: მაღაროში— 95,6 პროც. ხოლო ჭარხანაში— 109,1 პროც.

მეორე დეკადაში უნდა ემუშავა 2757 მუშას, ფაქტიურად მუშაობდა 2455. მუშაობა დენადობა კიდევ უფრო გაიზარდა: მიღებული იქნა 219 ახალი მუშა, სამუშაოდან წავიდა 273. ნაწილობრივ ეს აიხსნება კვების გაუარესებით.

აღსანიშნავია, რომ მექანიზაციის ათვისების მხრივ კვლავ ცუდი მდგომარეობაა. მანქანების გაცდენებს სისტემატიური ხასიათი აქვს. ასე, მაგალითად, ივნისის მეორე დეკადაში გაცდენილი მანქანა-საათების რიცხვი უდრიდა: № 5 ჭარხანაში—56 საათს, № 11 ჭარხანაში—11 საათს, № 17 ჭარხანაში—5 საათს, № 25 ჭარხანაში—22, № 29-30 ჭარხანაში, —36 და № 33 ჭარხანაში—56. გაცდენები იყო პირველ დეკადაში გაცდენულ პირველ დეკადაში გაცდა 153 საათი.

ცალკე მაღაროებიდან მეორე დეკადაში დამაკმაყოფილებლად მ შაობდენ № 3 მაღარო, რომელმაც თვიური გეგმა მეორე დეკადაში შეასრულა 36,4 პროც. № 4 მაღარო— 34,9 პროც. № 17 მაღარო—35,7 პროც. № 29—30 მაღარო—35,3 პროც.

უკანასკნელ დროს საგრძნობლად დაწინაურდა № 4 მაღარო, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებიდან გეგმებს ვერ მატებით ასრულებს, წინად კი გეგმის შესრულების 55 პროცენტს ძლივს აღწევდა. მაღაროს აკლდა მუშა–ხელი, მექანიზაცია არ იყო გატარებული. ამჟამად მდგომარეობა ამ მხრივ გამოსწორდა და მაღაროს ძუშებმაც გააძლიერეს ბრძოლა გეგმებისათვის.

მაღაროში არის მთელი რიგი მოწინავე ბრიგადები, მაგალითად, ბ. თაბაგარის, ქ. კირვალიძის და სხვების. ისინი გიგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და ეხმარებიან ჩამორჩენილ მუშებს; ამასთანავე ახალ მუშებს აცნობენ თავის გამოცდილებას და ხელს უწყობენ ნგრევის საქმის ტეხნიკის ათვისებაში. ამის შედეგად ახალი მუშები მალე ეჩვევიან მაღაროში მუშაობას და შრომის ნაყოფიერების ოამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს იძლევიან.

ამასთან ერთად, № 4 მაღაროს მოწინავე დამკვრელებმა შესძლეს შრომის დისციპლინის განმტკიცება და ახალი მუშების დამაგრება წარმოებაზე. მოხერხებული მიდგომით და სათანადო ახსნა–განმარტებით მათ წარმოების დაამაგრეს ის კოლმეურნეებიც, რომლებიც ერთი თვით იყვნენ მოსული მაღაროში სამუშაოდ.

№ 4 მაღაროს დამკვრელებმა სპეციალური წერილით მიმართეს № № 11, 25 და 36 მაღაროების მუშებს, რომელშიაც მოუწოდებდნენ მათ. გადაიღონ მათი ეს გამოცდილება და შეერთებული ძალღონით შეუტიონ გარდვევებს.

ჭიათურაში ამჟამად ათი მაღარო მუშაობს, მათ შორის ყველაზე მოწინავეა № 4, 17 და 29-30. შრომის სწორი ორგანიზაციით ამ მაღაროებმა ვადაღწიეს გეგმების შესრულებას, გამონახეს თავისი იზოტოვები და მათ გამოცდილების დანარჩენ მუშებისათვის გაცნობით დარაზმეს ეს უკანასკნელები საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად.

დროა დანარჩენმა მაღაროებმაც მიბაძონ მათ.

მარგანეცის მრეწველობის „ვიწრო ადგილს“ კვლავ ბიგების ნაკლებობა წარმოადგენს. ამას წინად ამ ნაიადაგზე მღვიმევის მაღაროში დაინგრა ორი ლავა. ჭიათურის მაღაროებს ყოველწლიურად სჭირდებათ 600 ბიგა. ივნისში იყო დღეები, როდესაც არც ტრესტის საწყობში და არც მაღაროებში არ იყო არც ერთი ბიგა. ტრესტის მომარაგების განყოფილება დროზე ვერ ამარაგებს მაღაროებს ბიგებით. მიზეზი ამისა მდგომარეობს განყოფილების მოუქნელ მუშაობაში და თანხების უქონლობაში. ამჟამად განყოფილების თითქმის მთელი საბრუნავი თანხა მაღაროებზე ირიცხება დავალიანების სახით. (1-ლ ივნისისათვის დავალიანება უდრიდა 479.819 მანეთს. თვის ბოლომდე ის მიაღწევს 600.000 მანეთს). მაღაროები არ იხდიან დავალიანებას, ვერც ტრესტი გამოსავალს პოულობს ამ ვალის დასაფარავად.

უსახსრობის გამო ფერხდება დამზადებული ბიგების გამოსყიდვა. აფხაზეთში ამჟამად დამზადებულია 13.000 ცალი ბიგა, რომლის გამოსასყიდად საჭიროა 45.000 მანეთი. მიუხედავად არა ერთი მომართვისა, აფხაზეთის მომარაგება–გასაღების სამმართველოს მხრიდან, ტრესტის მომარაგების განყოფილებამ დღემდე ვერ შესძლო ამ თანხის მთლიანად გადაგზავნა (გადაგზავნილია მხოლოდ 20.000 მან.) ამის გამო ბიგების გამოგზავნა შეჩერებულია.

ბიგების დასამზადებლად ტრესტს ხელშეკრულებები აქვს დადებული, საკავშირო სატყეო მომარაგება–გასაღების გაერთიანებასთან და აფხაზეთის მომარაგება–გასაღების სამმართველოსთან. პირველმა წლის ბოლომდე უნდა გამოგზავნოს 10.000 კუბომეტრი ხე–ტყე (თითო კუბიკურ მეტრში საშუალოდ გამოდის 9 ბიგა), ხოლო მეორემ უნდა დაამზადოს 36.000 ცალი ბიგა. ამას გარდა ბიგები მზადდება ფოთის რაიონში (10.000 ცალი) და აჯამეთში (8.000 ცალი).

ხელშეკრულების ძალით საკავშირო სატყეო გაერთიანებამ ბიგები უნდა გზავნოს თანაბრად პარტიებით ყოველთვიურად, მაგრამ ეს არ სრულდება. მაგალითად, პირველ და მეორე კვარტალში მიღებული უნდა ყოფილიყო 1000 კუბ. მეტრი, ფაქტიურად, მიღებულია მხოლოდ 210 კუბომეტრი. რბილი ჯიშის ხე-ტყე მიღებული უნდა ყოფილიყო 2400 კუბ. მეტრი, ნამდვილად კი მიღებულია მხოლოდ 32 კუბ. მეტრი.

აფხაზეთიდან ბიგები დღემდე მიღებულია მხოლოდ 4648 ცალი. ამიტომ დანაშაული მიუძღვის ტრესტს, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო დამზადება ფინანსიური სამუალებებით.

**

ამჟამად ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის წინაშე მთავარ ამოცანად რჩება მუშა–ხელის მოზიდვა, არსებული მუშების შენარჩუნება, და რაციონალურად განაწილება, მექანიზაციის გატარების დაჩქარება (მექანიზაციის 1933 წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 7 პროცენტით). გადასინჯული უნდა იქნეს ტეხნიკური პერსონალის შტატი, მისი გადიდების თვალსაზრისით. და ხელფასის ფონდი, რადგან მარგანეცის მრეწველობა სამთო სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მარგანეცის ტრესტის რეორგანიზაციის ლონისძიებათა შემუშავებისას, რაც უკვე დაიწყო.

შ. ბუაჩიძე

ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონებში

სუსტად ემზადებიან წითელ ჯარში გაწვევისათვის

გარდატეხა ჯერ არ მომხდარა

2 თვის შემდეგ დაიწყება 1911 წელში დაბადებულ მოჭალაქეთა გაწვევა მუშურ-გლეხურ წითელ არმიის რიგებში. გაწვევის წარმატებით ჩატარება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება წარმოებული მოსამზადებელი მუშაობა. გასული წლების გამოცდილებიდან ვიცით, რომ საუკეთესო შებრძოლთ ის რაიონი აძლევდა მუშურ-გლეხურ წითელარმიას სადაც მზადება გაწვევისათვის მიმდინარეობდა ენერგიულად. მზადება გაწვევისათვის ისახავს მიზნად გასაწვევ ახალგაზრდობის კლასობრივად შერჩევას, გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე-მცოდნეობის აღმოფხვრას, მომავალ მებრძოლთა შეიარაღებას სამხედრო ცოდნით, რათა მათ წითელ ყაზარმაში გაუადვილდეთ სამხედრო ხელოვნების დაუფლება.

რაიონებს დროულად მიეცა მითითება იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთონ მათ გაწვევის ირგვლივ. პარტულს, საბჭოთა, კომკავშირის და პროფორგანიზაციებს მიეცა წინადადება აღმოუჩინონ ადგილებზე სამხედრო კომისარიატებს ყოველმხრივი დახმარება და მზადება გაწვევისათვის გადაავლიონ დიდ პოლიტიკურ კამპანიად. მიუხედავათ ამისა, მთელ რიგ რაიონებში სამზადისი გაწვევისათვის ჯერ კიდევ არ არის ფართედ გაშლილი, მაშინ, როდესაც გაწვევამდე დარჩა ძლიერ მცირე დრო.

ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ გაგვზავნოთ წითელ ყაზარმაში წერა-კითხვის საუკეთესოდ მცოდნე ახალგაზრდობა. ეს არის ყველა რაიონების **საბრძოლო ამოცანა**, მაგრამ, არის ისეთი რაიონები, სადაც ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. **გურჯაანის** რაიონში მრავლად არიან წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდები, რომლებიც ორი თვის შემდეგ გაწვეულნი იქნებიან წითელ ჯარში, ამ ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის ჩაბმული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში. განათლების რაიონული განყოფილება, არ იღებს გადამჭრელ ზომებს გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

ასევე ითქმის **მარტვილის** რაიონზედაც. ამ რაიონის პარტიული, საბჭოთა და პროფორგანიზაციები მზადებას გაწვევისათვის სთვლიან სასხვათაშორისო საქმედ და მასში არ იღებენ თითქმის არავითარ მონაწილეობას. არავინ ზრუნავს გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გასაწვევთა შეიარაღება სამხედრო ცოდნით (ცაგერი, გურჯაანი, გორი), რაშიაც დამნაშავენი არიან ამ რაიონების თავდაცვა–ავიაქიმის ორგანიზაციები.

მზადებაში გაწვევისათვის დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა. რაიონებმა დროა შეიგნონ, რომ **გაწვევა მუშურ-გლეხურ წითელარმიაში არის ფართო პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია.** პარტიულ, კომკავშირის, საბჭოთა, პროფესიონალური და ნებაყოფლობითი ორგანიზაციები ვალდებული არიან აღმოუჩინონ სამხედრო კომისარიატებს ყოველმხრივი დახმარება, ამ კამპანიის ჩატარებაში.

მხედარი

მუშაობა სუსტია

ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონებში მზადება წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის სუსტად მიმდინარეობს. მართალია პარტიული რაიკომებმა დიდი ხანია დასახეს სათანადო ღონისძიებანი და მისცეს ადგილებს მითითებები, მაგრამ არავის მოსვლია აზრად შეემოწმებია ამ მითითებათა შესრულება.

სამხედრო კომისარიატს ჯერ არ აქვს ცნობები გასაწვევთა კლასობრივ მდგომარეობაზე. ამიტომ დამნაშავენი არიან **ოზურგეთის საბჭოები და რაიონალსაკომები,** ვინაიდან მათ **არ უწარმოებიათ გასაწვევთა შეხვედრა და მათი სოციალური სახის გამორკვევა.**

განათლების რაიონული განყოფილებები გულგრილად ეკიდებიან გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე-მცოდნეობის აღმოფხვრის საქმეს. ხსენებული განყოფილებებმა ოფიციალურად აცნობეს ზემდგომ ორგანოებს, რომ გასაწვევთა შორის არ არიან უცოდინარნი და მცირემცოდნენი. გასაწვევთა შეკრებაზე კი გამოირკვა, რომ 7 ამხანაგი უცოდინარია და 30 მცირე-მცოდნე.

კომკავშირის ორგანიზაციები არ არიან ჩაბმულნი მზადებაში გაწვევისათვის. კომკავშირის რაიკომებს და უჯრედებს არ გადაუდგამთ სათანადო ნაბიჯი გასაწვევთა შორის მას.-პოლიტ. და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გასაშლელად. არც ოზურგეთის და არც ჩოხატაურის რაიკომებს არ გაუჩენიათ გაწვევისათვის მზადების გეგმა. არა აქვთ გეგმები კომკავშირის საკოლმეურნეო და საწარმოო უჯრედებსაც.

სუსტია თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მონაწილეობა მზადებაში გაწვევისათვის. 120 საათიან პროგრამიდან გავლილია ბოლომდე 50 საათი. თავდაცვა-ავიაქიმის **პუნქტებზე არ მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია.**

რა კეთდება ადგილებზე

გურჯაანი.

შესდგა 1911 წელში დაბადებულთა კონფერენცია, რომელმაც იმსჯელობა წითელ ჯარში მორიგ გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ **გასაწვევთა შორის არიან წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირე მცოდნე ამხანაგები.** კონფერენციამ საჭიროდ ცნო ამ ამხანაგების დაუყოვნებლივ ჩაბმა სალიკვიდაციო სკოლებში.

ზოგიერთი სოფლის საბჭოები (ველისციხე) ჯარში გაწვევის ირგვლივ არ აწარმოებენ არავითარ მუშაობას და არ იღებენ ზომებს იმისათვის, რომ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა მომზადებული შეხვდეს გაწვევას.

—ლი.

მარტვილი.

მზადება წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის მარტვილის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. **ამ მუშაობაში პარტიული, საბჭოთა და პროფორგანიზაციები არ იღებენ არავითარ მონაწილეობას.** გასაწვევთა შორის მრავლად არიან წერა-კითხვის უცოდინარნი, მაგრამ არავინ ზრუნავს მათ ჩაბმაზე სალიკვიდაციო სკოლებში.

არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება გასაწვევთა კლასობრივ შერჩევას, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ დღემდე პარტ. და კომკავშირის უჯრედებს ამ საკითხის ირგვლივ არ ჰქონიათ მსჯელობა. **სოფლის საბჭოების უმრავლესობას არ განუხილავთ ჯარში გასაწვევთა სიები.**

გაწვევის ირგვლივ სოფლად არ სწარმოებს ახსნა-განძარტებითი მუშაობა და მოსახლეობას არა აქვს ნათელი წარმოდგენა გაწვევის მიზნებსა და ამოცანებზე.

ი. ცანავა.

ცაგერი.

თავდაცვა-ავიაქიმის ცაგერის რაიონული ორგანიზაცია აქტიურად ჩაება მზადებაში გაწვევისათვის. 50 წვეემამდელმა გაიარა 120 საათიანი სამხედრო სწავლების პროგრამა. თავდაცვა-ავიაქიმის ცალკე უჯრედები ქალაქად ღებულობენ ზომებს, რომ ყოველი წვეემადელი შეიარაღდეს სამხედრო ცოდნით.

უნდა აღინიშნოს, რომ **თავდაცვა-ავიაქიმის სოფლის უჯრედები ჯერ არ ამოძრავებულან და არ გაუშლიათ მუშაობა მზადებას ორგვლივ** (ზუბი, ორხვა, ალვი). საჭიროა თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭომ გაუწიოს სოფლის უჯრედებს მეტი დახმარება გაწვევისათვის მზადებაში.

დ. ცვარიანი.

საბჭოთა კავშირში

მოსკოვი აგებს მეტროპოლიტენს

1913 წელს მოსკოვის თითეულ მცხოვრებზე საშუალოდ მოდიოდა 147 მოგზაურობა წლიურად, 1932 წლისათვის ეს ციფრი 632-დე გაიზარდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსკოვი გიგანტურად ვითარდება, ვაჭრული მოსკოვი გადაიქცა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალურ გიგანტად, სოციალიზმის დედა-ქალაქად.

სატრანსპორტო შესაძლებლობათა ზრდა მოსკოვში ძლიერ ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდის ტემპებს. და თუმცა მოსკოვის ტრანსპორტს შეემატა საავტობუსო მიმოსვლა, როელსაც მეფის მოსკოვი არ იცნობდა, მაგრამ მიმოსვლის საქმე მაინც დაჭიმულ მდგომარეობაშია, მიუხედავათ იმისა, რომ მოსკოვმა, რომლის განკარგულებაში მგზავრების გადასაყვანად არის მხოლოდ ტრამვაი და ავტობუსები, მცხოვრებთა მოძრაობის მხრივ უკან მოიტოვა ტრამვაის, საავტობუსო, მეტროს და რკინის გზების ფართო ქსელი, შეიარაღებული ბერლინი, ლონდონი და ნიუ-იორკი, იგი მხოლოდ რამდენიმედ ჩამორჩება პარიზს, რასაც ნათელჰყოფს ჟურნ. „ტეროიტელსტვო მოსკვი“-დან ამოღებული შემდეგი ფიცრები (1931 წლის ციფრები მილიონებში):.

	მგზავრების რაოდენობა			მგზავრთა ბრუნვა
	მ/	ტრამვაით	მ/	ნიშნით
გადაყვანილია ავტობუსით	1.412,0	582,6	676,2	1.063, 874,9
გადაყვანილია ტრამვაით		152,8	920,0	1.940,0 112,0
გადაყვანილია მეტროთი	—	265,5	366,0	581,0 1,939,9
გადაყვანილია რკ.-გზებით	—	409,8	8,5	411,0 109,0
სულ	1.412,0	1.410,7	1.930.9	3.995,0 3.035,8
მოსახლეობა (ათასებში)	2.800	4.300	2.800	8.200 6.100
თითეული მგზავრი წლიურად საშუალოდ მოდის მოგზაურობა	505	329	671	487 500

ქალაქის ცალკე მიმართულებებით საათში მოსკოვში ამჟამად მოძრაობს 20—25 ათასი კაცი. ცალკე მაგისტრალების მაქსიმალური გამტარობა კი 18—20 ათასს არ აღემატება. არც მიმოსვლის სისწრაფეა დამაკმაყოფილებელი: 13,5 კილომეტრი საათში ტრამვაისათვის 20—22 კილომეტრს საათში. ავტობუსებისათვის. მანძილი კი მოსკოვის ერთი კიდიდან მეორემდე 22 — 25 კილომეტრს უდრის.ავტორებისები და ტრამვაის ვაგონები საკმაოც რომ იყოს მაშინაც კი თვითეულ მგზავრობაზე საშუალოდ ერთი საათი მაინც არის საჭირო. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი დრო იკარგება უქმად სამმილიონიან ქალაქში ტრამვაისა და ავტობუსების ლოდინზე.

საკ. კ.პ.(ბ) ცკას 1931 წლის ივნისის პლენუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „მიმდინარე მუშაობა ტრამვ. მიურნ. გასაუმჯობესებლად, მისი ნაწილობრივი რაციონალიზაცია და ტრამვაის ქსელის გაფართოება, რაც რამდენიმედ ამსუბუქებს ქალაქის სატრანსპორტო დაბრკოლებებს ახლანდელ ეტაპზე, მთლიანად არ სწყვეტს მოსკოვში სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების პრობლემას“.

სამგზავრო ტრანსპორტის და ამასთან ერთად სწრაფი და მასიური ტრანსპორტის პრობლემას სწყვეტს მიწისქვეშა რკინისგზების—მეტროპოლიტენის მოწყობა.

საკ. კ.პ.(ბ) ც.კ. 1931 წლის ივნისის პლენუმმა გამოიტანა დადგენილება—დაუყოვნებლივ დაიწყოს მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა.

რა არის მეტროპოლიტენი?

მეტროპოლიტენი არის ქალაქის რკინისგზა, რომელიც გაყვანილია ან მიწის ზევით—ესტაკადებზე ან მიწის ქვეშ—გვირაბებში.

უკანასკნელად მიწის ზედა მეტროპოლიტენს თითქმის არ აწყობენ.

რა უპირატესობები აქვს მეტროს ტრამვაისა და ავტობუსის წინაშე?—მისთვის საერთოდ არ არსებობს ის დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ ტრამვაისა და ავტობუსების მოძრაობას. ქუჩის მოძრაობა ხელს არ უშლის მას, ვინაიდან მეტროს ხაზები გაყვანილია ან გვირაბში ან ესკადებზე. გასაჩერებელი ადგილები ჩვეულებრივ მოწყობილია 600—800 მეტრის მანძილზე; ასეთ პირობებში მეტროს მატარებლის საშუალო სისწრაფე საათში უდრის 24 კილომეტრს; მეტროპოლიტენექსპრესებს კი მგზავრები გადაჰყავთ 40 კილომეტრის სისწრაფით საათში (გასაჩერებელი ადგილები იმყოფება 2—2,5 კილომეტრის მანძილზე).

მეტროს მატარებელი შესდგება 4, 6, 8 და ზოგჯერ მეტი ვაგონიდან. ვაგონის საშუალო განი უდრის 2,5 მეტრს, სიგრძე 14—20 მეტრს და საშუალოდ იტევს 120 — 200 მგზავრს.

მანძილი მატარებლებს შორის უდრის 1,5—2 წუთს. ამნაირად რვა ვაგონიან მატარებლებით საათში ერთი მიმართულებით შეიძლება 55.000 მგზავრის გადაყვანა.

მგზავრობა მეტროთი სრულიად უშიშარია, ვინაიდან მეტროს ხაზები ერთმანეთს ჰკვეთენ არა ერთ დონეზე, არამედ სხვადასხვაზე. ყარები ავტომატიურად იხურება და ამიტომ გზაში არ შეიძლება არც შეხტომა, და არც ჩამოხტომა. სათანადო სიგნალიზაციისა და მოწყობილობათა საშუალებით უზრუნველყოფილია მეტროს მატარებლის ავტომატიურად გაჩერება.

მეტროპოლიტენის სადგური ბერლინში.

საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა, გერმანელ, ფრანგ და ინგლისელ სპეციალისტთა კომისიების დაკვირვების მოსმენის შემდეგ საბოლოოდ დაამტკიცა მოსკოვის მეტროპოლიტენის შემდეგი სქემა, შემუშავებული მეტრომშენის მიერ:

მიასნიცკის რადიუსი — 10 კმ., ფრუნზესი—6 კმ., არბატის—5 კმ., გორკის (ყოფ. ტვერის)—2,5 კმ. ტაგანკის—10,6 კმ., პოკროვსკის—9,3 კმ, ზამოსკვორეჩიე—8 კმ. როგორც სკის—9,6 კმ., წით. პრესნის—4,5 კმ. —9,6 კმ., წითელი პრესნის—4,5 კმ. და ძერჟინსკის რადიუსი—7,8 კილომეტრი. ამრიგად მოსკოვის მეტროს ხაზების საერთო სიგრძე იქნება 80,3

მტკიცე პარტხელმძღვანელობა საბჭოთა სკოლას

ბოლშევიკურად ვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის

მოემზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

